

ემოციური ინტელექტისა და დაძლევის სტრატეგიების კავშირი აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვების დედებში

ქეთევან ოქუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

უკანასკნელი რამოდენიმე წლის განვალბაში იზრდება ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების რაოდენობა. მათ შორის აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვების. საქართველოში 2011 წლის მონაცემებით, 110 ბავშვიდან ერთს აქვს აუტიზმის სპექტრის დარღვევა. რაც მათი ოჯახებისთვის დაკავშირებულია სტრესის ამაღლებულ დონესთან. მშობლების ემოციები და ფსიქიკური მდგომარეობა აისახება ბავშვთან მიდგომასა და მუშაობაზე, ისევე როგორც ამ ბავშვის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. მშობელი და შვილი მუდმივად ახდენენ გავლენას ერთმანეთზე, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ მშობლები, განსაკუთრებით კი ის მშობლები, რომლებიც უფრო მეტ ინტერაქციაში არიან ბავშვთან (როგორც წესი, ასეთი მშობლები არიან დედები).

შესაბამისად, ჩავატარეთ კვლევა, რომელიც იკვლევდა დედებში ემოციური ინტელექტისა და დაძლევის სტრატეგიებს შორის კავშირს. კვლევა განხორციელდა სამი კატეგორიის ჯგუფთან. აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვების, ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვების და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების დედებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60-მა დედამ. მათი ასაკი მერყეობდა (21-დან 57 წლამდე, $M = 35.31$ წ $Sd = 9.21$) ბავშვების ასაკი განისაზღვრებოდა 6-დან 18 წლამდე.

კვლევაში გამოყენებული იქნა თვით-ანგარიშის ტიპის კითხვარები:- 1. ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი (TEIQue) (K.Petrides 2009); 2. დაძლევის სტრატეგიების სკალა (WOC) (Lazarus. R. & Folkman. S. 1988).

ძირითადი შედეგები გამოიყურება ასე: ემოციური ინტელექტის სკალები და ფაქტორები სხვადასხვა დაძლევის სტრატეგიებთან კორელირებენ, მაგრამ არის ფაქტორი და სკალა, რომელიც სამივე ჯგუფისთვის საერთო აღმოჩნა. –იმპულსურობა- უარყოფით კორელაციაშია კონფრონტაციასთან, ხოლო თვით-კონტროლის სკალა სამივე შემთხვევაში საშუალო უარყოფით კორელაციაშია განრიდების სტრატეგიასთან.

ასევე აღმოჩნდა, რომ გლობალური ემოციური ინტელექტის ქულა კონფრონტაციული დაძლევის, თვით-კონტორილის , პასუხისმგებლობის მიღების , განრიდების , პრობლემის გადაჭრის დაგეგმვის და პოზიტიური გადაფასების დაძლევის სტრატეგიების პრედიქტორია.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა არ ხორციელდება დიდი რაოდენობის პოპულაციაზე და საშუალება გვექნება გამოვავლინოთ მხოლოდ ზოგადი ტენდენცია, კვლევას შეიძლება მოვუძებნოთ, როგორ თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება.

კვლევა საშუალებას გვაძლევს, ქართულ პოპულაციაზე მიღებული შედეგები შევადაროთ უცხოეთში მსგავს კვლევებში მიღებულ შედეგებს.